ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი N8

სხდომის ჩატარების დრო:

1 აგვისტო 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომის დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები: ქეთევან ციბაძე, მაკა ცერცვაძე, ლანა თოთაძე , ნოდარ ჯიქია, ლარისა შენგელია, ასმათ ჯანგავაძე, მაკა აბულაძე. ია მაჩიტიძე, მირანდა ხეცურიანი,ბელა მშვილდაძე.

არ ესწრებოდნენ: ირაკლი შენგელია, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, ხათუნა არველაძე, ელეონორა არჩაია, გრიგოლ შუშანია , ქეთევან ხურციძე,მაია ყუფარაძე, ნანა რობაქიძე, თინათინ გელხვიიძე, მამუკა რიჟამაძე , თეა ჯუღელი, მაია სიმონიძე, ბაქარი მახარაძე, ნინო ჩიკვაშვილი, ,მერი გელაშვილი, ფიქრია ხაჭაპურიძე, თინათინ ბერიშვილი,გიზო ბანძელაძე.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა შეაჯამეს ჩატარებული აქტივობები და იმსჯელეს სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი საკითხების შესახებ.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ.

„გენდერული საბჭოს ორგანიზებით , გოგონათა და ქალთა დასაქმებისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით , ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმიანისტრაციულ ერთეულებში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან . შეხვედრებს ესწრებოდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ოკრიბელაშვილი, კოლეჯ " იბერიას " წარმომადგენელი თამარ მანაგაძე , დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი ეკა ლეჟავა. წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ . შეხვედრები იყო საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო, ვფიქრობ მოსახლეობის უმეტესობა დაინტერესდა , ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული კითხვა პასუხის რეჟიმში“ - მაგდა კოსტავა

მაგდა კოსტავამ მიმართა საბჭოს წევრებს რათა გამოეთქვათ მოსაზრება აღნიშნული აქტივობის შესახებ .

აზრი გამოთქვა ასმათ ჯანგავაძემ აღნიშნა რომ : „მსგავსი ტიპის შეხვედრები ნამდვილად მიზანშეწონილი და შედეგის მომცემი არის მოსახლეობისათვის, ასევე აღნიშნა რომ შეხვედრებზე გაჟღერდა შშმ პირთათვის განათლების მიღების კუთხით საინტერესო ინფორმაცია , რომელიც მისთვის იყო ცნობილი , მაგრამ ბევრმა შშმ პირმა არიცის რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ პროგრამებზე შშმ პირებს შეუძლით ისწავლონ სრულიად უფასოდ და მათთვის თითოეულ პროგრამაზე არის ერთი დამოუკიდებელი ადგილი გამოყოფილი . ასმათ ჯანგავაძემ ასევე დააფიქსირა მოსაზრება ადმინისტრაციული ერთეულების შენობების შშმ პირებზე ადაპტაციის კუთხით, მან აღნიშნა რომ პანდუსებთან მოაჯირების დამატებით ადმინისტრაციული ერთეულების შენობა გახდება მეტად მოსახერხებელი .

სხდომაზე საბჭოს წევრებს შორის მსჯელობისა და შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა რომ გენდერული თანასწორობის საბჭომ უნდა მიმართოს რეკომენდაციით მერიის სამსახურებს . საბჭოს წევრთა მიერ ფორმულირდა შემდეგი რეკომენდაცია:

- 2024 წლის საბიუჯეტო პროექტში გათვალისწინებულ იქნას, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობების შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირება.

ქალბატონმა მაგდა კოსტავამ ამის შემდეგ სიტყვა გადასცა მაკა ცერცვაძეს რომელიც ხელმძღვანელობდა ქალთა ეკონომიური გაძლიერების კუთხით საგრანტო კონკურსზე მომუშავე შიდა ჯგუფს. მაკა ცერცვაძემ აღნიშნა რომ : „საგრანტო კონკურსის სამუშაო ვერსია შეიმუშავა ლანა თოდაძემ შემდგომ ეს დოკუმენტი გაზიარდა ჯგუფის წევრებს შორის , ჯგუფის წევრები არიან ლანა თოდაძე, ლელა შენგელია, მაია ყუფარაძე და თეკლა დახუნდარიძე. გამომდინარე იქედან რომ მაია ყუფარაძეს ჰქონდა გაუთვალისწინებელი პრობლემა მან ვერ მოახერხა პროცესში ჩართვა . დოკუმენტი არის დასახვეწი რიგი საკითხები არის დასაზუსტებელი და შესათანხმებელი როგორც იურიდიულ სამსახურთან ასევე ფინანსურ დეპარტამენტთან. ". ქალბატონმა თეკლა დახუნდარიძემ აღნიშნა რომ დოკუმენტში არ არის მონიტორინგის მექანიზმი გაწერილი და საჭიროებს გათვლას. ამის შემდგომ საბჭოს წევრებს შორის გაიმართა მსჯელობა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ. ქალბატონმა მაგდა კოსტავამ შეაჯამა საკითხი და აღნიშნა რომ გაჟღერებულ საკითხებს დააზუსტებს და შეათანხმებს შესაბამის სამსახურებთან და მომდევნო სხდომისთვის უკვე დაიწყება აქტიური მუშაობა საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთვის.

ქალბატონმა მაგდა კოსტავამ საბჭოს წევრებს შეახსენა რომ გენდერული საბჭოს მიერ გაწერილ გეგმაში ერთ ერთი პრიორიტეტი არის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით აქტივობების განხორციელება და წინა სხდომაზე შეთანხმების თანახმად გენდერული საბჭოს ეგიდით უნდა მოხდეს ვიდეო რგოლის გადაღება . ქალბატონმა მაგდამ სთხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება ვიდეო რგოლის თემატიკის შესახებ. გაჟღერდა სხვადასხვა მოსაზრება და საბოლოოდ შეთანხმდნენ რომ ვიდეო რგოლის თემატიკის მოსამზადებლად შექმნილმა ჯგუფმა მომდევნო სხდომაზე უნდა წარმოადგინონ კონკრეტული თემები , რათა სექტემბრის თვეში მოხდეს საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება.

მსჯელობის შედეგად გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შეთანხმდნენ რომ მომდევნო თვეში გაიმართება სამუშაო ტიპის შეხვედრა , შეხვერაზე უკვე ფორმირებული შიდა ჯგუფები წაროადგენენ თავიანთ მოსაზრებებს , გაიწერება ვიდეო რგოლის თემატიკა , წაროდგენილ იქნება საგრანტო კონკურსის გამოცხადების საბოლოო ვერსია.

ამით გენდერული საბჭოს მეექვსე სხდომამ მუშაობა დაასრულა

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მ. კოსტავა
მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... ქალაქ ქუთაისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საკითხების მოწვეული სპეციალისტის ნინო გოლეთიანის მიერ.